ხორბლის წარმოების გადიდება - ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მთავარი გარანტი

ვ. ზეიკიძე, თ. ლაჭყეპიანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

ანოტაცია. სტატიაში გაანალიზებულია საქართველოში ხორბლის წარმოების თანამედროვე მდგომარეობა. აღნიშნულია რომ სამამულო წარმოების თანამედროვე დონე ვერ აკმაყოფილებს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნებს, თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ხორბალზე 2010 წლიდან 2018 წლის ჩათვლით 6-15 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. რაც ძალზე დაბალი მაჩვენებელია. ასევე მოტანილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სამომხმარებლო ფასები და შედარებულია საქართველოს მონაცემებს. ამასთან ერთად აღნიშნულია რომ ქვეყნის აგრარული პოტენციალის გამოყენება უნდა მოხდეს ეტაპობრივად, რისთვისაც საჭიროა თანამშრომლობის გაღრმავება სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის.

ავტორთა აზრით უნდა შეიქმნას პროგრამა "ხორბალი", რომლის ფარგლებშიც უნდა დაფინანსდეს ყველა ღონისძიება, რომელიც ამ კულტურის წარმოებასა და სასურსათო ღირებულებას თანდათან აამაღლებს მოსახლეობაში და მნიშვნელოვნად გაიზრდება სამამულო ხორბლის სასურსათო დანიშნულებით გამოყენება.

შინაარსი

საკუთარი მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ნებისმიერი ქვეყნის საზრუნავია. ტერმინი სასურსათო უსაფრთხოება გამოხატავს ყველა მოსახლეობის მდგომარეობასა და დაცვას, რომლის მთავარი ობიექტია აზროვნება, საზოგადოება და

სახელმწიფო. საქართველოს სოფლის მეურნეობას გააჩნია იმის პოტენციალი რომ საკუთარი წარმოების ხორბლით მოსახლეობის 70-80-იანი უზრუნველყოფის საკითხი უახლოეს პერსპექტივაში დადებითად გადაჭრას. აქედან გამომდინარე ხორბლის კულტურის წარმოებასა და მისი სასურსათო ხარისხის ამაღლებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ხორბლის კულტურის მოვლა-მოყვანის საუკეთესო ნიადაგური კლიმატური პირობები და დიდი ტრადიციებიც გააჩნია. სამწუხაროდ წარმოებისა და მოსავლიანობის დონე დღემდე ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს რაზეც ნაცვლად მიუთითებს ის გარემოება რომ უკანასკნელი პერიოდის მანძილზე ხორბლის მოსავლიანობა 15-20%-ს არ აღემატება.

დღეისათვის საქართველოში მხოლოდ რბილი ხორბალი ითესება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემით 2017 წელს ხორბლის ნათეს ფართობს 95%-ი საშემოდგომო ხორბალს უჭირავს. საქართველოში ხორბლის ნათესი ფართობებით რეგიონების მიხედვით შემდეგი სურათია. კახეთის რეგიონის წილად მოდის 65% შიდა ქართლის და ქვემო ქართლის - 14-14%-ი, ხოლო დანარჩენი რეგიონების წილად მოდის 6%-ი. აქვე უნდა შევნიშნოთ რომ ხორბლის ფართობი ყველგან ურწყავია და გვალვიან წლებში მისი მოსავლიანობა მნიშვნელოვნად მცირდება. ხორბლის ნათესები ძირითადად მონოკულტურის სახითაა წარმოდგენილი, რაც იწვევს ნიადაგის გამოფიტვას და უარყოფითად მოქმედებს მის ნაყოფიერებაზე.

ხორბლის მოვლა-მოყვანის სწორი სტრატეგია უზრუნველყოფს იმპორტის ჩანაცვლებას, მოსავლიანობის გაზრდას, ფერმერთა ცოდნის დონისა და ცნობიერების ამაღლებას, რაც მოსავლიანობის ზრდის მყარი გარანტიაა. ხორბლის წარმოების გადიდების საქმეში უდიდესი დახმარების გაწევა შეუძლია საქართველოში გავრცელებულ ენდემურ ხორბლის ჯიშებს, რადგან არაპრაქტიკული თვალსაზრისით მათთვის დამახასიათებელია უნიკალური და ძვირფასი ნიშანთვისებები და ისინი მდიდარ გენეტიკურ მასალას წარმოადგენენ და ძალზე მნიშვნელოვანია სელექციისათვის, ხორბლის მოვლა-მოყვანის სტრატეგია უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში არსებული სამეცნიერო ცენტრების ბაზაზე თანამედროვე მაღალპროდუქტიულ ხორბლის ჯიშებთან სელექციის შედეგად ახალი გვალვა გამძლე და მაღალ მოსავლიანი ჯიშების გამოყვანა, რომლებიც აპრობირებულნი იქნებიან საქართველოს პირობებისათვის და უზრუნველყოფენ ხორბლის მაღალ საჰექტარო მოსავლიანობას.

ქართული ხორბლის აბორიგენული ჯიშების ქვეყნის რეგიონების მიხედვით შესწავლის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვაღიაროთ, რომ ქართული ტრადიციული ჯიშები კონკურენტუნარიანი არიან მაღალი მოსავლის მისაღებად, მაგალითად ახალციხის წითელმა იოლმა, ყველაზე მაღალი მოსავალი მოგვცა ახალციხეში ნათესებში - 5,5 ტ/ჰა ასევე ვარძიის, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ახალციხეში 7,1 ტ/ჰა, ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ახალციხის წითელი იოლს აქვს პოტენციური შესაძლებლობა მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენების პირობებში მიეცეს მაღალი და სტაბილური მოსავალი, აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ თუ გავითვალისწინებთ ქართულ-ტრადიციული ჯიშების მაღალმოსავლიანობას და პურფუნთუშეულის წარმოებაში საუკეთესო თვისებებს ნათელი გახდება მისი უპირატესობები შემოტანილ ხორბლის ჯიშებთან შედარებით.

ჩვენი აზრით ქვეყნის მარცვლეულის წარმოების სტრატეგია უნდა დამუშავდეს ინტენსიფიკაციის კუთხით, რომლის შედეგადაც შესაძლებელი გახდება ხორბლის ყველა ჯიშისათვის მაქსიმალური შესაძლებლობის გამოვლინება. ინტენსიფიკაციის პროცესში წამყვანი ადგილი უნდა დაიკავოს ირიგაციამ, ქარსაფარი ზოლების მოწყობამ, რათა მცენარეს მაქსიმალურად მიეცეს საშუალება საკუთარი პოტენციალის გამოვლენისა.

მარცვლეულის წარმოების გადიდება უზრუნველყოფს, რომ ქვეყანამ თანდათან შეამციროს ხორბლის იმპორტი და გაზარდოს მარცვლეულით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, რომელიც ჯერ კიდევ დაბალია. მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს რომ 2010-

2018 წლის განმავლობაში ხორბლის ადგილობრივი წარმოება არასტაბილურია, რაც ზრდის ხორბლის მოხმარებაში იმპორტის წილს და აუარესებს ქვეყნის ხორბლით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტს, რომელმაც 2018 წლისათვის 15%-ი შეადგინა, როგორც შესაბამისი მასალებიდან ჩანს საქართველოში წარმოებული ხორბლის მხოლოდ 15-18% გამოიყენება ფქვილის საწარმოებლად, რაც იმის გარანტიას ვერ იძლევა რომ ხორბლის ფქვილის იმპორტის შემცირების ან კრიზისის შემთხვევაში პურზე ფასი საკუთარი წარმოების ხორბლით დარეგულირდეს. აქედან გამომდინარე ქვეყნისათვის ძალზე მნიშვნელოვანია რომ სასურსათო წარმოების ხორბლის წილი 25-30%-მდე გაიზარდოს, რომლის მიღწევაც სავსებით შესაძლებელია თანამედროვე სასურსათო ხორბლის ჯიშების ქვეყანაში შემოტანით, ფერმერებისათვის მათი მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიის სწავლებით და შესაბამისი პირობების შექმნით.

FAO-ს ინფორმაციით ხორბლის წარმოების ფასების კლების ტენდენცია კვლავ გრძელდება 2012 წლიდან დაწყებული რუსეთში, აშშ-ში და საფრანგეთში, რაც შეეხება საქართველოს ხორბლის სამომხმარებლო ფასები განსხვავებულია ქვეყნის რეგიონების მიხედვით, განსხვავება შედარებით მცირდება ხორბლის მოსავლის აღების დროს, მაგალითად 2017 წლის ივნისში კახეთში მან შეადგინა 0,57 ლარი/კგ. ქართული სასურსათო ხორბლის წარმოება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ხორბლის იმპორტული ტრანსპორტირების ხარჯს ზრდის, რაც კიდევ უფრო აძვირებს პროდუქციას. ხორბალი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მთავარი განმსაზღვრელი კულტურაა. მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი უზრუნველყოფს მოსახლეობას ფიზიკური არსებობის შენარჩუნებას და უშუალოდ კავშირშია მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებასთან.

ხორბლის წარმოების გადიდება თანდათან გართულდება მსოფლიოში მიმდინარე კლიმატური ცვლილებების გამო, და სავსებით შესაძლებელია ხორბლის წარმოების რესურსები შემცირდეს და ქვეყნის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება ხორბლის იმპორტით შეუძლებელი გახდეს. ამისათვის დღეიდანვე უნდა დაიწყოს იმ ფერმერული მეურნეობების ხელშეწყობა, რომლებიც ქვეყნის ნათესების გაზრდას და საჰექტარო მოსავლიანობის ამაღლებას აანონსებენ.

ქვეყნის აგრარული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ამ მიზნით აუცილებელია სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, კერძოდ, დაფინანსების, თანამედროვე ტექნოლოგიების და სოფლის ინფრასტრუქტურული განვითარების საქმეში.

საქართველოში ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, პრობლემურია ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფა. პროგნოზული გათვლებით შესაძლოა 2030 წლისათვის მსოფლიო სასურსათო კრიზისის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. მაგალითად აშშ-ში ფონდებმა 100 მლნ. დოლარი გამოუყვეს, რაცა 1 ჰა-ზე ხორბლის მოსავლიანობამ 28 ტონას მიაღწიოს, საქართველოს ამ მხრივ აქვს პოტენციალი, რომ ხორბლის წარმოება და სასაქონლო სახის შენარჩუნება უმაღლეს დონეზე განავითაროს, საქართველოს მოსახლეობა წელიწადში 700-800 ათას ტონა ხორბალს მოიხმარს. ფიზიოლოგიური ნორმით ერთ სულ მოსახლეზე წლის განმავლობაში საჭიროა 120 კგ ხორბალი, ჩვენთან მხოლოდ ჯერჯერობით 19 კგ იწარმოება. ხორბალთან მიმართებაში, ჩვენ მიერ დასახულ ღონისძიებებს გააჩნიათ სოციალური დატვირთვაც, ამ ღონისძიებებს მნიშვნელობა აქვს მსხვილი ფერმერებისათვის, რადგან სამომავლოდ მოხდება მათი უფრო გამსხვილება. თანამედროვე აგროტექნიკის გამოყენების პარალელურად უნდა მოხდეს, ხორბლის კულტურის მაღალი და გარანტირებული მოსავლის აღება.

ამრიგად, სასურსათო უსაფრთხოების გადაწყვეტა უშუალოდ არის დაკავშირებული მარცვლეულის და კერძოდ ხორბლის წარმოების დონეზე, რომელიც განსაზღვრავს სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას ქვეყანაში, მის სასურსათო უსაფრთხოებას. მარცვლეულის წარმოება ტრადიციულად არის მთელი სასურსათო

კომპლექსის საფუძველი და წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მოთხოვნად დარგს.

ლიტერატურა

1. გ. მალაშხია, პ. კოღუაშვილი. სოფელი და კაცობრიობა. თბ., 2014 წ.
2. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2018 წ. სტატისტიკური კრებული. თბ. 2019.
3. პ. კოღუაშვილი და სხვები მარცვლეულის წარმოების გადიდება სასურსათო უშიშროების განმტკ. პირობაა აგრარული მეც. პრობლემები, ტ. 1, №4, (45) თბ. 2009. 95-99.
4. პ. კოღუაშვილი, გ. ზიბზიბაძე, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, თბ., 2010.

INCREASING WHEAT PRODUCTION IN THE COUNTRY GROCERIES CHIEF SECURITY GUARANTOR

V. Zeikidze, T. Lachkepiani

Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

Summary

The article analyzes the current state of wheat production in Georgia. It is noted that the modern level of domestic production does not meet the requirements of the population of the country, the coefficient of self-sufficiency in wheat varies from 6-15 percent between 2010 and 2018. Which is a very low rate. Consumer prices in different countries of the world are also compared and compared to Georgia. It also notes that the country's agricultural potential should be exploited in a phased manner, which requires deeper cooperation between the public and private sectors.

According to the authors, the program "Wheat" should be established to finance all activities that gradually increase the production and nutritional value of this culture among the population and significantly increase the use of native wheat for food purposes.